

მიმდევრობითი და პარალელური შეერთება წრედის უბნებზე

ვირტუალური სიმულაცია tinkercad-ში.

ავტორი: ზურაბ ბერია

რესურსის შექმნის მიზანია, ხელი შეუწყოს ფიზიკის მასწავლებლებს სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში. ლაბორატორიული სამუშაოები და ექსპერიმენტები ფიზიკის სწავლების განუყოფელი ნაწილია, თუმცა, ამისთვის საჭიროა საბუნებისმეტყველო, კერძოდ, ფიზიკის ლაბორატორია. ლაბორატორიის და ლაბორატორიული ხელსაწყოების დეფიციტის პირობებში შესაძლებელია ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენება. ამ შემთხვევაში ვიყენებთ პლატფორმას **tinkercad.com**, რომელიც უფასოა და ნებისმიერი, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით შევძლებთ წვდომას. ეს პროგრამა გამოსადეგია ელექტრობასა და მაგნეტიზმში ფიზიკის სხვადასხვა საკითხების შესასწავლად.

მიმდევრობითი და პარალელური შეერთება - არის tinkercad-ში შექმნილი სიმულაცია, რომლის საშუალებით შესაძლებელია ელექტრობაში წინაღობების მიმდევრობითი და პარალელური შეერთების თვალსაჩინოდ ნახვა, სხვადასხვა შეერთების ჩართვა და გადართვა, ხელსაწყოების (ნათურა, წინაღობა, ძრავა) შეცვლა, სხვადასხვა მახასიათებლების - წინაღობის, ძაბვის, დენის ძალის სიდიდეების ცვლა და გაზომვა.

რესურსი განკუთვნილია როგორც ფიზიკის, ასევე ბუნებისმეტყველების მასწავლებლებისთვის.

გაითვალისწინეთ, რესურსის გასახსნელად აუცილებელია, რეგისტრაცია გაიაროთ

tinkercad-ის პლატფორმაზე.

სიმულაციის ბმული:



<https://www.tinkercad.com/things/gICuqC4Dw7a->